ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-0120335904**
თარიღი: **30/11/2020**
პინი: **6804**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,სამსახური''), განიხილა თქვენი 2020 წლის 24 ნოემბრის #60-0120329349 წერილი (AR1773929), და თანდართული დოკუმენტი (გამწვანების პროექტი), რომლითაც მოქალაქე თამაზ ქოქოსაძე ითხოვს **ქ. თბილისში, ო. ხიზანიშვილის ქუჩა #108 (ს.კ #01.11.10.008.202) (ფუნქციური ზონა: სზ-6),** შპს ,,მირაქსის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში, IV კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე, გამწვანების პროექტთან დაკავშირებით, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას და გაცნობებთ, რომ:

წარმოდგენილი გამწვანების პროექტის ფარგლებში, ტერიტორიაზე არსებული **3 ძირი** ამერიკული ნეკერჩხალი და ახალი გამწვანებული სივრცეების მოსაწყობად შემოთავაზებული **66 ძირი** მწვანე ნარგავი (9 ძირი ამერიკული ნეკერჩხალი, 8 ძირი კავკასიური ცაცხვი, 9 ძირი ცხენისწაბლი, 10 ძირი რობინია, 6 ძირი მსხვილფოთოლა ნეკერჩხალი, 5 ძირი აბრეშუმის, ლენქორანის აკაცია, 11 ძირი იტალიური ფიჭვი, 8 ძირი ჰიმალაის კედარი), სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო მინიმალურ ფართობს **(1489,25 კვ.მ).** გასამწვანებლად შემოთავაზებული საპროექტო მცენარეები (სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით.

ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

ასევე, მოგახსენებთ, რომ საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

აქვე გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის ,,ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოიყენება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი 21-ე მუხლის 5^1 პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01203182541**
თარიღი: **13/11/2020**
პინი: **7354**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს
თეიმურაზ ბოლოთაშვილს

ბატონო თეიმურაზ,

2020 წლის 10 ნოემბრის თქვენი N 17-01203151699-16 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა, N108 მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.11.10.008.202) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ფარგლებში (AR1773929) პოზიციის დაფიქსირებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ შეისწავლა წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში და გაცნობებთ:

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სააგენტომ პოზიცია დააფიქსირა არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე 2019 წლის 21 ნოემბერის თქვენი N17-01193252433-16 წერილის პასუხად N 16-01193463203 წერილით.

ამჟამად წარმოდგენილია მეორე ეტაპის მშენებლობის პროექტი. ვინაიდან, წარმოდგენილი პროექტიდან დამატებული გენერირებული მგზავრობები ვერ იქონიებს არსებით უარყოფით ზეგავლენას არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და ასევე, არ იკვეთება ახალი არსებითი საგულისხმო გარემოებები, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია აღნიშნულ საპროექტო ტერიტორიასთან დაკავშირებით რჩება უცვლელი.

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული არქიტექტურული პროექტის (AR1773929) შეთანხმების წინააღმდეგი.

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი